პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „თექის დამზადება“

(პროგრამა ხორციელდება მილევად რეჟიმში)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: მხატვრული ქსოვილები/Artistic Fabrics

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა: 02126-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თექის დამზადებაში / Basic Vocational Qualification in Felt Preparation
აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა), კოდი 0214, აღმწერი - *„შეისწავლის საიუველირო ხელოვნების, კერამიკის, ქსოვის, ხის დამუშავების და ა.შ ტექნიკასა და უნარებს“*.

მიზანი - პროგრამის მიზანია, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება თექის დამზადების მიმართულებით.

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები - **თექის დამზადების** საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს მატყლის მღებავად, ცხოველური ბოჭკოს მჩეჩავად, მატყლის მთელავად. ტრადიციული თექის აქსესუარების დამამზადებლად. პირს შეუძლია დასაქმდეს შესაბამის საწარმოებში, სამხატვრო სალონებსა და კერძო სახელოსნოებში, ასევე შესაძლებელია თვითდასაქმება.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის 13.1; 13.2; 13.20; 13.20.0; 13.3; 13.30; 13.30.0; 13.96.0; 14.19.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7318.

სტრუქტურა და მოდულები

პროგრამა მოიცავს 7 სავალდებულო ზოგად მოდულს ჯამურად 19 კრედიტის ოდენობით, 5 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამურად 20 კრედიტის ოდენობით და 6 სავალდებულო პროფესიულ მოდულს ჯამური 37 კრედიტის ოდენობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს **76** კრედიტი.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლების შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 76 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 62 კვირა;

- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 91 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქარუთლენოვანი სტუდენტებისთვის - 72 კვირა.

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	მეწარმეობა 1	2
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
5.	სამოქალაქო განათლება	3
6.	უცხოური ენა	4
7.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
	ჯამი:	**19**
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - მხატვრული ქსოვილები	2
2.	აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები	4
3.	საფეიქრო მასალათმცოდნეობის საწყისები	2
4.	საფეიქრო მასალის ღებვა	4
5.	ქსოვილის მხატვრული მოხატვა (ბატიკა, შიბორი, დაჩითვა)	8
	ჯამი:	**20**
თექის დამზადების სავალდებულო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	მატყლის თელვა სიბრტყეზე სველი და მშრალი მეთოდით 2	10
2.	მატყლის თელვა მოცულობით ფორმებზე 2	8
3.	მხატვრული თექის ნაწარმისა და აქსესუარების დამზადება 2	8
4.	ქვილთი-ქსოვილის მხატვრული დაგვირისტება 2	6
5.	პრაქტიკული პროექტი - თექის დამზადება 2	5
	ჯამი:	**37**
	სულ:	**76**

მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შექმნას ესკიზი;
2. მოამზადოს მატყლი თელვისათვის;
3. მოთელოს მატყლი სიბრტყეზე სველი და მშრალი მეთოდით;
4. მოთელოს მატყლი მოცულობით ფორმებზე;
5. დაამზადოს მხატვრული თექის ნაწარმი და აქსესუარები;
6. შექმნას მხატვრული ქსოვილი - ქვილთი.